
URL: <http://urakparaki.com/?m=4&ID=61778>

ავტორი: ბექა ქებულაძე

ქანრი: პოეზია

გამოქვეყნების დრო: 2012-07-24 11:46:42

ზიარება

(წუხელაც ღამესიმბრე)

ასეა, მეწერები, ხანდახან, შიგადაშიგ.
მე პირველ გაზაფხულზე გაგანდე ჩემი ღარდი.
გუშინწინ ხელოვნურად და-მშობა ვითამაშეთ,
გუშინ კი უნებლიედ რაგომდაც შემიყვარდი.

ფიქრებში გამოცლილი ღამეც და დღეც ხშირია,
არ მინდა ამდგვარი დღეების მსგავსი ღამე.
ვერა და ვერ გითხარი და ახლა მეშინია
შენივე დაკარგვის და უბრალოდ თავს ვიკავებ.

სარკეში საკუთარ თავს ვეღარ ვცნობ ამ ბოლო დროს.
ვიძინებ. უძილობა გამხდარა ამორძალი.
მე ალბათ ყველა სათქმელს მოვყვები - ცა რომ მოთოვს;
(მახოვს, რომ ერთ-ერთ მამთარს სიცივეც გამოვძალებ).

ცადაჭრილ ნიავივით მივენდე დროის კალთებს,
ვეცადე შემენიღბა სუნთქვა და ზიარება.
კედლებზე დაგრეხილმა ბზარებმა მოიმაგეს,
გონება, ვაკვირდები უკულმა ტრიალდება.

ასეა, მეწერები, ხანდახან, შიგადაშიგ...
გაქარდა დრომოჭმული ბორგვა და აპათია.
გუშინწინ ხელოვნური და-მშობა ვითამაშეთ,
ახლა კი უნაზესი შეგრძნება მახადია.